

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #3

ქ. თბილისი

2025 წელი, 21 ნოემბერი, 13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნიკოლოზ კახეთელიძე, ზურაბ აბაშიძე, ბექა დავითუალიანი, ზურაბ ჩიკვილაძე, ნინო ვარდოსანიძე, კონსტანტინე ზარნაძე, გივი ჩხარტიშვილი, ალექსანდრე ასათიანი, ზაქარია წიკლაური, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი

სხდომას თავმჯდომარეობდა: ნიკოლოზ კახეთელიძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

სერგო ბირკაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

ნინო ბაგაშვილი - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი

№	საკითხის დასახელება
1.	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს № 12-032532366-03- 19.11.2025)
2.	მისამართზე - ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N 34 (ს/კ: N01.18.09.004.059) არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულების მიზნით, გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ რიგი სამართლებრივი აქტების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე (საკრებულოს №12-03253241-03- 20.11.2025)
3.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, პატარძელის ქუჩის მიმდებარედ/ვაზისუბნის დასახლება, პატარიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.10.001.098; ფართობი - 2146 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს № 12-032530792-03 -03.11.2025)

4.	„კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული აგარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, წყნეთის შესახვევი, N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.08.003.173; ფართობი - 1979 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს № 12-032531127-03- 07.11.2025)
5.	„კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული აგარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა, N87-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.12.003.136; ფართობი - 1010 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს № 12-032531128-03-07.11.2025)
6.	„კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული აგარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ლევან გოთუას ქუჩა N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.13.003.053; ფართობი - 5311 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს № 12-032531130-03- 07.11.2025)
7.	„კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული აგარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ევგენი ხარაძის ქუჩა, N18; ევგენი ხარაძის ქუჩა N18-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდები: 01.11.12.019.039; 01.11.12.019.821; 01.11.12.019.817; 01.11.12.019.201; 01.11.12.019.823; 01.11.12.019.202; 01.11.12.019.820; 01.11.12.019.822; 01.11.12.019.809; ფართობი - 23 921 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს № 12-032531738-03- 13.11.2025)
8.	„კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული აგარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, ნუცუბიძის ფერდობის II, III, IV მიკრორაიონების მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.550, ფართობი - 5 636 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის N39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს № 12-032532375-03- 19.11.2025)
9.	„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032531131-03 - 07.11.2025; №12-032531132-03-07.11.2025; №12-032531737-03-13.11.2025; №12-032532367-03- 19.11.2025; №12-032531844-03-14.11.2025)

10.	ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში; ქალაქი თბილისი, სოფელი დიღმის ტერიტორიაზე (ნაკვეთი 03/363) არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.72.14.094.328; N01.72.14.004.098; N01.72.14.004.494; 01.72.14.057.052; 01.72.14.152.780; 01.72.14.152.779; 01.72.14.004.1003; 01.72.14.057.036; 01.72.14.057.035; 01.72.14.057.053; 01.72.14.004.495; 01.72.14.094.327) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს 12-032530744-03 03.11.2025)
11.	" ქალაქ თბილისში, მირიან მეფის ქუჩა N1ა; ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი, N 1- N1ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.10.06.011.045; N01.10.06.011.098; 01.10.06.011.075-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" (საკრებულოს № 12-03253084-03 - 04.11.2025)
12.	ქალაქ თბილისში, გლდანში, ავშნიანში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.57.001.009) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს № 12-03253086-03 -04.11.2025)
13.	ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.96.031; N81.02.06.510; N81.02.06.413; N81.02.94.194; N81.02.94.195; N81.02.94.715; N81.02.06.429; N81.02.93.369; N81.02.93.362; N81.02.00.162; N81.02.96.679; N81.02.96.678; N81.02.98.646; N81.02.06.496; N81.02.06.426; N81.02.96.026; N81.02.06.343; N81.02.06.390; N81.02.00.022; N81.02.06.389; N81.02.99.970; N81.02.96.692; N81.02.96.700; N81.02.94.717; N81.02.00.896; N81.02.00.815; N81.02.06.432; N81.02.97.361; N81.02.97.954; N81.02.95.824; N81.02.96.856; N 81.02.06.362; N 81.02.97.846; N 81.02.94.714; N 81.02.98.512; N81.02.95.577; N81.02.94.676; N 81.02.06.349; N 81.02.06.361; N 81.02.94.718; N 81.02.95.578; N 81.02.06.476; N81.02.00.987) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს № 12-032504527-03 - 14.02.2025)
14.	ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელა, შვენაბადას ქუჩა, N141, N143; N145; N147; N149-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: 81.02.05.587; 81.02.05.586; 81.02.05.588; 81.02.05.585; 81.02.05.584; 81.02.05.583; 81.02.05.582; 81.02.05.581; 81.02.05.580; 81.02.05.590; 81.02.05.595; 81.02.05.589; 81.02.05.605; 81.02.05.602; 81.02.05.594; 81.02.05.591; 81.02.05.603; 81.02.05.592; 81.02.05.599; 81.02.05.593; 81.02.05.596; 81.02.05.604) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032532372-03 - 19.11.2025)

15.	ქალაქ თბილისში, სოფელ წაგვისში, ნიკოლოზ მათიკაშვილის ქუჩა, N33-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.81.02.363.056) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს № 12-032530843-03 - 04.11.2025)
16.	ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.20.030; N72.16.17.958) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032531129-03- 07.11.2025)
17.	ქალაქ თბილისში, სოფელ წაგვისში; ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წაგვისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.13.759; N81.02.13.892; N81.02.13.784; N81.02.13.692; N01.81.02.201.001; N01.81.02.201.002; N81.02.19.584; N81.02.13.760) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032531431-03- 10.11.2025)
18.	ქალაქ თბილისში, სოფელ თბინვალაში, თელეგის მიწაზე; ქალაქ თბილისში, სოფელ თბინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.33.172; N72.16.15.289; N72.16.33.068; N72.16.23.588; N72.16.23.589; N72.16.23.590) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032531441-03- 10.11.2025)
19.	„ქალაქ თბილისში, ლევან ჩოხელის ქუჩა, N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.078) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს № 12-032532376-03 - 19.11.2025)
20.	ქალაქ თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა, N1; N3; ქალაქი თბილისი, ლისის ტბის ასასვლელი გზისა და ინტენსიფიკაციის გზის კუთხეში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.014.042; N01.14.16.014.451; N01.14.16.014.024) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს № 12-032532487-03-20.11.2025)
21.	ქალაქ თბილისში, ალ. წულუკიძის ქ. N21-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (საყოფაცხოვრებო კომერციული ფართით) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერის მოადგილის 2014 წლის 15 მაისის N1050 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს № 12-03253215-03 - 17.11.2025)

22.	„ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დიდ დილოში, ტელევიზორების ქარხნის მიმდებარედ არსებულ №1/10/6/1/12 მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 13 დეკემბრის №20/754 ბრძანებით შეთანხმებული მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ (საკრებულოს № 12-03253214-03 - 17.11.2025)
23.	ქალაქ თბილისში, კათოლიკოსი აბრაჰამ I-ის ქუჩა, N13; N15ა; N23ა; N21ა; N17ა; N16; N41; N39; N20; N18; N12; N10; N23; N25; N14; N21; N15; N19; N17-ში; ქალაქი თბილისი, დილოში; ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის მეაზრემუშეობის კვლევითი ინსტიტუტის ფართობების მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე; ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი, N41; N39-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.230; N01.72.14.014.858; N01.72.14.014.626; N01.72.14.014.629; N01.72.14.014.704; N01.72.14.014.264; N01.72.14.014.942; N01.72.14.014.242; N01.72.14.014.438; N01.72.14.014.816; N01.72.14.014.219; N01.72.14.014.339; N01.72.14.014.232; N01.72.14.014.225; N01.72.14.014.222; N01.72.14.014.262; 01.72.14.014.738; N01.72.14.014.987; N01.72.14.014.220; N01.72.14.014.677; N01.72.14.014.255) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს N397 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს № 12-032532373-03-19.11.2025)
24.	„ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელ წაგვისში; ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წაგვისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.19.902; N81.02.19.901; N81.02.19.216; N01.81.10.291.007; N81.02.19.217; N81.02.19.215; N81.02.19.071; N81.02.13.575; N81.02.13.701; N81.02.19.003; N81.02.19.070; N81.02.13.789; N81.02.13.790; N81.02.19.004; N81.02.13.955; N81.02.13.954; N81.02.19.635; N81.02.19.634; N01.81.02.294.001-ის ნაწილი) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N196 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს № 12-032532174-03-19.11.2025)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი ნიკოლოზ კახეთელიძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა დღის წესრიგი.

1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032532366-03- 19.11.2025)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ზირკაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს, წარმოადგენს კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირების დაკმაყოფილების საკითხი. ამ მიზნით, არაერთი ინტერესთა გამოხატვა გამოცხადდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ტერიტორიაზე და გაიცა შესაბამისი ნებართვები, რის საფუძველზეც უკვე ათასობით კოოპერატივის წევრია დაკმაყოფილებული. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესის 21-ე მუხლი განსაზღვრავს შემთხვევებს, თუ რა დროსაა დასაშვები კ-1 და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება ერთჯერადად. ამ ჩამონათვალში შედის, მათ შორის, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი/გადაცემული მიწის ნაკვეთები, შესაბამისად მუნიციპალიტეტის გამოცხადებულ ზოგიერთ ინტერესთა გამოხატვის დროს, მიწის ნაკვეთზე უკვე გადამეტებულია კ-2 კოეფიციენტი. ეს გადამეტება ცხადია განსაზღვრული იყო, მათ შორის, იმ დროს უკვე დაზუსტებული მოთხოვნების შესაბამისად (კოოპერატივის წევრთათვის გასასტუმრებელი ვალდებულებების გათვალისწინებით). თუმცა, შესაძლებელია არსებობდეს მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელი იყოს დამატებით პარამეტრების გაზრდა, ამასთან, ამ გაზრდის შედეგად მიღებული საფასური მიიმართება ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისათვის, რაც ასევე ერთ-ერთი პრიორიტეტია დედაქალაქისთვის. პროექტის მიღების მიზანია, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირების დაკმაყოფილების საკითხის ეფექტურად მოგვარების მიზნით, შესაბამისი ცვლილებები განხორციელდეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში (შემდგომში - დადგენილება).

კომისიის გადაწყვეტილებით პროექტით გათვალისწინებული ცვლილება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით. „3 თუ კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება განხორციელდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, კ-2 კოეფიციენტის გადამეტება დასაშვებია დამატებით, ერთჯერადად, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთზე, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაზე არ ვრცელდება ამ მუხლის 3² პუნქტით განსაზღვრული რეგულირება.“

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა.

ბმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

2. მისამართზე - ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N 34 (ს/კ: N01.18.09.004.059) არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულების მიზნით, გამოყენებული ხელშეწყობი ღონისძიებების შესახებ რიგი სამართლებრივი აქტების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე (საკრებულოს №12-03253241-03- 20.11.2025)

საკითხი წარმოადგინა კომიის თავმჯდომარემ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 75-ე მუხლის „ე.თ“ და „ე.კ“ ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლისა და „მისამართზე - ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N 34 (ს/კ: N01.18.09.004.059) არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულების მიზნით, შპს „მეტი დეველოპმენტის“ (ს/ნ: 404541812) მიმართ გაცემული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულებები: N21.1862.2095, 28.12.2021; N22.1696.1820, 2.11.2022) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულებები N94, 29.12.2021; N595, 4.11.2022) მხარდამჭერი (მათ შორის, დამატებითი/ დაზუსტებითი) ღონისძიებების გაუქმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 19 ნოემბრის N25.1964.2207 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს: ძალადაკარგულად გამოცხადდეს: ა) „ქ. თბილისში, გორგასლის ქ. N34-ში (ს/კ: N01.18.09.004.059) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შპს „მეტი დეველოპმენტის“ (ს/ნ: 404541812) მიმართ ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N94 განკარგულება; ბ) „მისამართზე - ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N34 (ს/კ: N01.18.09.004.059) არსებული დაუმთავრებელი სამშენებლო ობიექტის დასრულებისთვის შპს „მეტი დეველოპმენტის“ (ს/ნ: 404541812) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ნოემბრის N595 განკარგულება.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა.

ბმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

3. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, პატარძელის ქუჩის მიმდებარედ/ვაზისუბნის დასახლება, პატარიძის ქუჩის

მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.10.001.098; ფართობი - 2146 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს № 12-032530792-03 -03.11.2025)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2025 წლის პირველ აგვისტოს წარდგენილი N01252133767-67 (N0125230379-67; N01252734413-67) განცხადებით ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, პატარძელის ქუჩის მიმდებარედ/ვაზისუბნის დასახლება, პატარძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.10.001.098; ფართობი - 2146 კვ.მ) შესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.17.10.001.098 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.2), გამოხატეს მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობანაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.17.10.001.098 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 21 იანვრის N5258236 ბრძანებით (ცვლილებები შევიდა ამავე სამსახურის 2021 წლის 15 მარტის N5325250 და 2021 წლის 9 ნოემბრის N5677485 ბრძანებებით) ერთი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) რეგლამენტით (კ-2=2.5). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) არის მაღალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელ ზონა 6 (სზ-6)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართ 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები; დადგენილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1= 0.5 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2 = 2.5 მიწის ნაკვეთის გაშვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3 = 0.3 მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 600/700* კვ.მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 15/20* მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 25/30* მ * მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება 25 %-ს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის

სამსახურის 2025 წლის 27 ოქტომბრის N7680147 ბრძანებით შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი (კ-2=2.4) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა. დაინტერესებული პირის მიერ, ხელშეწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.4-დან კ-2=3.2-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე 3 (სამი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 11 (თერთმეტ) სართულიანი შენობის განთავსებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N01252133767-67 (N0125230379-67; N01252734413-67) განცხადებაზე წარმოდგენილია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N006266925, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 23 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგინს 2 099 994 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 699.998 (ექვსას ოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდათვრამეტი) ლარით.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა.

ბმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

4. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, წყნეთის შესახვევი, N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.08.003.173; ფართობი - 1979 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს № 12-032531127-03- 07.11.2025)

საკითხი წარმოდგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2025 წლის 9 მარტის N 0125301266-67 (01253021590-67) განცხადებით ქალაქ თბილისში, წყნეთის შესახვევი N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.08.003.173, ფართობი - 1979 კვ.მ) შესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.14.08.003.173 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.6), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების

რეაბილიტაციის/ ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.14.08.003.173 (წინა საკადასტრო კოდები: 01.14.08.003.171; 01.14.08.003.083; 01.14.08.003.078; 01.14.08.003.081; 01.14.08.003.034; 01.14.08.003) საკადასტრო ერთეულის ძირითად ნაწილზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), ხოლო მცირე ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 23 სექტემბრის N801.01222664 ბრძანებით გაცემულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (90%) განთავსების მიზნით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 20 დეკემბრის N6257062 ბრძანებით, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისთვის, დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 21 ოქტომბრის N7672965 ბრძანებით შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი (კ-2=3.5). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიან ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (მათ შორის გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს; იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) -ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; დასაშვებია საზოგადოებრივსაქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%-ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი - არაუმეტეს 95%-ისა. იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა დაკმაყოფილებისთვის არსებული საპროექტო ობიექტებისთვის და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესით განსაზღვრული ობიექტებისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე დასაშვებია 100% საცხოვრებელი ფუნქციის განთავსება. მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1= 0,5*/0.7 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2= 3.5 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3 = 0,2*/0.3 მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 600/700* კვ.მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 15/20* მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 25/30* მ * მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის. დაინტერესებული პირის მიერ, ხელშეწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის

კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=3.5-დან კ-2=3.6-მდე, რაც გულისხმობს მე-11 სართულზე არსებული ტერასების შევსებას. არ იცვლება საპროექტო შენობის სიმაღლე და სართულიანობა, ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N0125301266-67 (01253021590-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N006902725, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 17 ოქტომბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 5 673 102 ლარს, იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის საწარმოოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა.

ბმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მოაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

5. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა, N87-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.12.003.136; ფართობი - 1010 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" (საკრებულოს № 12-032531128-03-07.11.2025)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2025 წლის 29 სექტემბრის N01252724014-67 (N01252972242-67) განცხადებით ქალაქ თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა, N87-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.12.003.136; ფართობი - 1010 კვ.მ) შესაკეთებლად (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.12.12.003.136 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების საწარმოოდ (კ-2=5.0), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.12.12.003.136 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023

წლის 4 დეკემბრის N6785919 ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (კ-2=2.5). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) არის მაღალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) -ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ასევე, დასაშვებია ამ წესების დანართ 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები. განაშენიანების რეგულირების პარამეტრებია: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1= 0,5 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2= 2,5 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3 = 0,3 მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 600/700* კვ.მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 15 / 20* მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 25 / 30* მ * მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება 25 %-ს დაინტერესებული პირის მიერ, ხელშეწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=5.0-მდე, რაც გულისხმობს 3 (სამი) მიწისზედა სართულის დამატებას და 10 (ათი) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N01252724014-67 (N01252972242-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N006946825, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 20 ოქტომბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, შეადგენს 1 324 110 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა.

ბმთა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

6. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ლევან გოთუას ქუჩა N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.13.003.053; ფართობი - 5311 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს № 12-032531130-03- 07.11.2025)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2025 წლის 31 ოქტომბერს წარდგენილი N01253043-67 განცხადებით ქალაქ თბილისში, ლევან გოთუას ქუჩა N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.10.13.003.053; ფართობი - 5311 კვ.მ) მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.10.13.003.053 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=6.2), გამოხატეს მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.10.13.003.053 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება ზოგადი საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ), ხოლო გაშვანებული ტერიტორიების რუკით, მიწის ნაკვეთის ნაწილზე ვრცელდება ურბანული (შიდაკვარტალური) გაშვანება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 6 დეკემბრის N6238210 ბრძანებით (ცვლილებები შევიდა ამავე სამსახურის 2023 წლის 14 ივლისის N6560969 და 2025 წლის 29 ოქტომბრის N7682529 ბრძანებებით) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)-ის პარამეტრებით (კ-2=4.6). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 22 დეკემბრის N801.01223564 ბრძანებით (ცვლილებები შევიდა 2023 წლის 24 მაისის N801.01231448 და 2025 წლის 10 სექტემბრის N801.01252533 ბრძანებებით) ქალაქ თბილისში, გოთუას ქუჩა N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.13.003.053) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (77%) განთავსების მიზნით, გაცემულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 3 ნოემბრის N6743627 ბრძანებით შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის („ა“ და „ბ“ ბლოკები) არქიტექტურული პროექტი (კ-2=4.6) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს N7168060 ბრძანებით შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის („ა“ და „ბ“ ბლოკები) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი (კ-2=4.6). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) არის მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გვზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის მიხედვით, საზოგადოებრივ - საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) განაშენიანების დომინირებულ სახეობას

შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%-ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს - 95%-ისა და დადგენილია განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი $k-1=0,5 \cdot / 0,7$ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი $k-2=4.6$ მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი $k-3=0.2 / 0.3$ მინიმალური ფართობი 700 კვ.მ მინიმალური სიგანე 20 მეტრი მინიმალური სიღრმე 30 მეტრი შენიშვნა * მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება 25 %- ს, დაინტერესებული პირის მიერ, ხელშეწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ($k-2$) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება $k-2=4.6$ -დან $k-2=6.2$ -მდე, რაც გულისხმობს „ა“ ბლოკზე 11 (თერთმეტი) სართულის, ხოლო „ბ“ ბლოკზე 1 (ერთი) სართულის დამატებასა და 35 (ოცდათხუთმეტი) და 3 (სამი) სართულიანი შენობების განთავსებას. ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N01253043-67 განცხადებაზე წარმოდგენილია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N005056925, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2025 წლის 5 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგინს 19 438 260 ლარს, იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა.

ბმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

7. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ევგენი ხარაძის ქუჩა, N18; ევგენი ხარაძის ქუჩა N18-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდები: 01.11.12.019.039; 01.11.12.019.821; 01.11.12.019.817; 01.11.12.019.201; 01.11.12.019.823; 01.11.12.019.202; 01.11.12.019.820; 01.11.12.019.822; 01.11.12.019.809; ფართობი - 23 921 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს № 12-032531738-03- 13.11.2025)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2025 წლის 12 სექტემბრის N0125255448-67 (N01252753350-67; N01252834153-67; N01253143793-67) განცხადებით, მისამართზე: ქალაქი თბილისი, ევგენი ხარაძის ქუჩა, N18; ევგენი ხარაძის ქუჩა N18-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: 01.11.12.019.039; 01.11.12.019.821; 01.11.12.019.817; 01.11.12.019.201; 01.11.12.019.823; 01.11.12.019.202; 01.11.12.019.820; 01.11.12.019.822; 01.11.12.019.809) შესაკუთრებმა (შემდგომში - დაინტერესებული პირები) 01.11.12.019.039; 01.11.12.019.821; 01.11.12.019.817; 01.11.12.019.201; 01.11.12.019.823; 01.11.12.019.202; 01.11.12.019.820; 01.11.12.019.822; 01.11.12.019.809 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.3), გამოხატეს მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/რანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, დღეის მდგომარეობით, 01.11.12.019.039; 01.11.12.019.821; 01.11.12.019.817; 01.11.12.019.201; 01.11.12.019.823; 01.11.12.019.202; 01.11.12.019.820; 01.11.12.019.822; 01.11.12.019.809 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 1 ივლისის N25.1104.1245 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 ივლისის N315 განკარგულებით დამტკიცებულია ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა №18-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.11.12.019.202; №01.11.12.019.817; №01.11.12.019.201; №01.11.12.019.821; №01.11.12.019.823; №01.11.12.019.820; №01.11.12.019.039; №01.11.12.019.822; №01.11.12.019.809) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, რომლითაც საპროექტო ტერიტორიის განვითარება დაგეგმილია საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) და გათვალისწინებულია 6 შენობა-ნაგებობის (შენობა A1-15 სართული; შენობა A2-12 სართული; შენობა A3-2 სართული; შენობა A4-13 სართული; შენობა A5-14 სართული; შენობა A6-13 სართული) განთავსება. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) არის მაღალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, საცხოვრებელ ზონა 6 (სზ-6)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართ 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური)შეთანხმებით დაშვებული სახეობები; დადგენილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები:

მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1= 0,5

მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2= 2,5

მიწის ნაკვეთის გაშწავნების მინიმალური კოეფიციენტი $k-3 = 0,3$

მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - $600 / 700$ კვ.მ

მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - $15 / 20$ მ

მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - $25 / 30$ მ

შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე -

* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება 25 %-ს.

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშეწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ($k-2$) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება $k-2=2,5$ -დან $k-2=3,3$ -მდე, რაც გულისხმობს „A1“ და „A2“ ბლოკებზე 3-3 (სამ-სამი), ხოლო „A4“, „A5“ და „A6“ ბლოკებზე 4-4 (ოთხ-ოთხი) სართულის დამატებას და შემდეგი შენობების განთავსებას: შენობა A1-18 სართული; შენობა A2-15 სართული; შენობა A3-ს სართულიანობა რჩება უცვლელი; შენობა A4-17 სართული; შენობა A5-18 სართული; შენობა A6-17 სართული, ასევე, დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები, N0125255448-67 (N01252753350-67; N01252834153-67; N01253143793-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N007467325, რომლის მიხედვითაც, ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა N18-ში არსებული 23,098.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.12.019.039) საბაზრო ღირებულება 2025 წლის 10 ნოემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 16,053,110.00 (თექვსმეტი მილიონ ორმოცდაცამეტი ათას ას ათი) ლარს, ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა N18-ის მიმდებარედ არსებული 35.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.12.019.821) საბაზრო ღირებულება 25,550.00 (ოცდახუთი ათას ხუთას ორმოცდაათი) ლარს; 451.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.12.019.817) საბაზრო ღირებულება 329,230.00 (სამას ოცდაცხრა ათას ორას ოცდაათი) ლარს; 123.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.12.019.201) საბაზრო ღირებულება 89,790.00 (ოთხმოცდაცხრა ათას შვიდას ოთხმოცდაათი) ლარს; 9.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.12.019.823) საბაზრო ღირებულება 6,570.00 (ექვსი ათას ხუთას სამოცდაათი) ლარს; 25.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.12.019.202) საბაზრო ღირებულება 18,250.00 (თვრამეტი ათას ორას ორმოცდაათი) ლარს; 49.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.12.019.820) საბაზრო ღირებულება 35,770.00 (ოცდათხუთმეტი ათას შვიდას სამოცდაათი) ლარს; 81.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.12.019.822) საბაზრო ღირებულება 59,130.00 (ორმოცდაცხრამეტი ათას ას ოცდაათი) ლარს, ხოლო ქალაქ თბილისში, ზევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული 50.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.12.019.809) საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ შეადგენს 36,500.00 (ოცდათექვსმეტი ათას ხუთასი) ლარს, ჯამურად - 16,653,900.00 (თექვსმეტი მილიონ ექვსას ორმოცდაცამეტი ათას ცხრაასი) ლარი.

იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/რანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის საანგვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, პირიქით, განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა, კერძოდ, ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა N18-ში არსებულ 23,098.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.11.12.019.039) $k-2$ კოეფიციენტის 2.5-დან 3.3-მდე

გადამეტების ფასი შეადგენს 5,136,995.20 (ხუთი მილიონ ას ოცდათექვსმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტი და ოცი მესამედი) ლარს, ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა N18-ის მიმდებარედ არსებულ 35.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.11.12.019.821) - 8,176.00 (რვა ათას ას სამოცდათექვსმეტი) ლარს, ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა N18-ის მიმდებარედ არსებულ 451.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.11.12.019.817) - 105,353.60 (ას ხუთი ათას სამას ორმოცდაცამეტი და სამოცი მესამედი) ლარს, ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა N18-ის მიმდებარედ არსებულ 123.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.11.12.019.201) - 28,732.80 (ოცდარვა ათას შვიდას ოცდათორმეტი და ოთხმოცი მესამედი) ლარს, ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა N18-ის მიმდებარედ არსებულ 9.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.11.12.019.823) - 2,102.40 (ორი ათას ას ორი და ორმოცი მესამედი) ლარს, ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა N18-ის მიმდებარედ არსებულ 25.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.11.12.019.202) - 5,840.00 (ხუთი ათას რვაას ორმოცი) ლარს, ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა N18-ის მიმდებარედ არსებულ 49.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.11.12.019.820) - 11,446.40 (თერთმეტი ათას ოთხას ორმოცდაცხსი და ორმოცი მესამედი) ლარს, ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა N18-ის მიმდებარედ არსებულ 81.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.11.12.019.822) - 18,921.60 (თვრამეტი ათას ცხრაას ოცდაერთი და სამოცი მესამედი) ლარს, ქალაქ თბილისში, ხევშარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ 50.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.11.12.019.809) კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.3-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 11,680.00 (თერთმეტი ათას ექვსას ოთხმოცი) ლარს, ხოლო ჯამურად - 5,329,248.00 (ხუთი მილიონ სამას ოცდაცხრა ათას ორას ორმოცდარვა) ლარს.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა.

ბმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

8. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯერის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, ნუცუბიძის ფერდობის II, III, IV მიკრორაიონების მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.550, ფართობი - 5 636 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის N39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს № 12-032532375-03- 19.11.2025)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2025 წლის 7 ოქტომბრის N01252804235-67 განცხადებით დაინტერესებულმა პირმა მოითხოვა „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯერის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, ნუცუბიძის ფერდობის II, III, IV მიკრორაიონების მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.550, ფართობი - 5 636

კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 19 თებერვლის N25.211.246 განკარგულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეწყობი ღონისძიების სახით გამოყენებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტებით (კ-2=3.7) განპირობებული მოცულობის (სართულიანობის) დაზუსტება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამავდროულად მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით. აქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად, ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2024 წლის 7 ნოემბრის N01243122267-67 (N01243411781-67, N01243661435-67, N01250339-67) განცხადებით, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, ნუცუბიძის ფერდობის II, III, IV მიკრორაიონების მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.550, ფართობი - 5 636 კვ.მ) მესაკუთრემ N01.14.16.015.550 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მოითხოვა მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.7) გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, ნუცუბიძის ფერდობის II, III, IV მიკრორაიონების მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.550, ფართობი - 5 636 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 19 თებერვლის N25.211.246 განკარგულების საფუძველზე, „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, ნუცუბიძის ფერდობის II, III, IV მიკრორაიონების მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.550, ფართობი - 5 636 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის N39 განკარგულებით თანხმობა მიეცა ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხს. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, ნუცუბიძის ფერდობის II, III, IV მიკრორაიონების მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.550, ფართობი - 5 636 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 19 თებერვლის N25.211.246 განკარგულების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის კ-2=2.6-დან კ-2=3.7-მდე გადამეტება გულისხმობდა 4 (ოთხი) სართულის დამატებასა და 20 (ოცი) სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას. 2025 წლის 7 ოქტომბრის N01252804235-67 განცხადებით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, ნუცუბიძის ფერდობის II, III, IV მიკრორაიონების მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.550, ფართობი - 5 636 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 19 თებერვლის N25.211.246 განკარგულებაში ცვლილების შეტანა, რაც გულისხმობს ხელშეწყობი ღონისძიების სახით გამოყენებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტებით (კ-2=3.7) განპირობებული მოცულობის (სართულიანობის) დაზუსტებას, კერძოდ, დადგენილ მოცულობაზე 5 (ხუთი) სართულის, მათ შორის, 1 (ერთი) ტექნიკური სართულის დამატებასა და 21 (ოცდაერთი) სართულიანი შენობის განთავსებას.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

9. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032531131-03 - 07.11.2025; №12-032531132-03-07.11.2025; №12-032531737-03-13.11.2025; №12-032532367-03- 19.11.2025; №12-032531844-03- 14.11.2025)

კომისიამ განიხილა თბილისის მერიის წერილებით (საკრებულოს №12-032531131-03 - 07.11.2025; №12-032531132-03-07.11.2025; №12-032531737-03-13.11.2025; №12-032532367-03- 19.11.2025; №12-032531844-03- 14.11.2025) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ. - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ზაგაშვილმა. წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკაზე (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 18 წინადადება და საბაგიროს შეზღუდვა.

ა) ქალაქ თბილისში, მამარდაშვილის ქუჩა N19ვ-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.16.04.026.019) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება ფაქტობრივად არსებული მყარი მიწის შესაბამისად. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) არის სატრანსპორტო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ ტრანსპორტის/ქვეითის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზებს/ქუჩებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს, ტროტუარებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, მიწისქვეშა ნაგებობებს/შენობა-ნაგებობებს (მათ შორის მიწისქვეშა ავტოსადგომებს), ასევე თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უძრავ ქონებაზე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრულ პარკირების ადგილებს; ასევე, შპს „საქართველოს ფოსტის“ (ს/ნ 203836233) ჯიხურებს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, 2025 წლის 29 ოქტომბრის N01253021838 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მერიის ერთიანი რუკისა და განცხადებაში წარმოდგენილი ფოტომასალისა და ტოპოგრაფიულ გეგმის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივი შენობა-ნაგებობისა და ღობის ნაწილზე და არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. აღნიშნული დასტურდება გასული წლების ორთო ფოტოებიდანაც. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მამარდაშვილის ქუჩა N19ვ-ში მდებარე მიწის ნაკვეთის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: 01.16.04.026.019) არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, "ზეთანია-3"-ის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.81.28.070.053) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს 2014-2018 წლის გენ-გეგმის ზონირების დაბრუნება და ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა ეინაიდან, ინტერაქტიული რუკის მონაცემებზე დაყრდნობითა და განცხადებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით მიწის ნაკვეთზე დგას საცხოვრებელი ფუნქციის მქონე შენობა ნაგებობა. აღნიშნული ფიქსირდება 2005 წლის აეროფოტოგადაღებიდან, რომელიც ასახულია საჯარო რესტრის ამონაწერშიც. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გეგმით, 01.81.28.070.053 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1

(სზ-1). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სატყეო ზონა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონა, რაც ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ზღუდავს მესაკუთრის კანონიერ უფლებებს. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 10 ოქტომბრის N01253013442 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონა. წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნითა და შემოადნის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, "ზეთანია-3"-ის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.81.28.070.053) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია;

ქალაქ თბილისში, ირაკლი უჩანეიშვილის I გასასვლელი, N10ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.14.08.011.083) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს 2014-2018 წლის გენ-გეგმის ზონირების დაბრუნება, ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა, მყარი მოგზის საზღვრებში ხარვეზის სახით გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), ამასთან აღნიშნული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ნაწილი ვრცელდება ფაქტობრივად არსებულ ლობესა და მის მიღმა ტერიტორიაზე, შესაბამისად, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მოხსნა განხორციელდეს მხოლოდ ფაქტობრივად არსებული ლობის შესაბამისად, ვინაიდან აღნიშნულ ტერიტორიას სატრანსპორტო ფუნქცია არ გააჩნია. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის ორგანიზაციის პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო 2025 წლის 29 ოქტომბრის N01253021951 წერილის მიხედვით, აღნიშნული ფუნქციური ზონის ცვლილებას მიზანშეწონილად მიიჩნევს ნაწილობრივ, კერძოდ, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ფენა გაუქმდეს მხოლოდ ფაქტობრივად არსებულ ლობეზე. ხოლო, სამომავლოდ, განსაზღვრულ ტერიტორიაზე ჯეროვანი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების მიზნის გათვალისწინებით, სსიპ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, მიზანშეწონილად მიიჩნევს ლობის მიღმა არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კონფიგურაცია და პარამეტრი შენარჩუნდეს უცვლელად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ირაკლი უჩანეიშვილის I გასასვლელი, N 10ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.14.08.011.083) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ნაწილობრივ ცვლილება მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, ზანდუკელის ქუჩა, N34-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.09.061.002) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება მყარი მიჯნის-ღობის გათვალისწინებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 30 ოქტომბრის N0125303545 წერილის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივი ღობის ნაწილზე და შესაბამისად, არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. ქალაქ თბილისის ინტერაქტიული რუკის სხვადასხვა წლის ორთოფოტოს მონაცემებზე დაყრდნობით, ვლინდება, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია მყარი კონსტრუქციული ღობე, შესაბამისად, მიზანშეწონილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მოხსნა ფაქტობრივად არსებული ღობის კონტურზე, ხოლო ღობის მიღმა არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კონფიგურაცია და პარამეტრი შენარჩუნდეს უცვლელად. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის მიღმა, 01.17.09.061.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისა და წარმოდგენილი „SHP“ ფაილით მოთხოვნილ არეალს შორის დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, მცირე ნაწილზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ზანდუკელის ქუჩა, N34-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.09.061.002) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, მუხიანი-2 ის დასახლება, იასამნის ქუჩა N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.72.13.569.012) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული ურბანული (მიდა კვარტალური) გამწვანების მოხსნა. საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს შემდგომში მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება. „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 დადგენილების მიხედვით 01.72.13.569.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე და მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით, 01.72.13.569.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე და მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, დღევანდელი მდგომარეობით 01.72.13.569.012 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მომიჯნავედ 72.13.09.539 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (მიდაკვარტალური) გამწვანება. ვინაიდან, გამწვანებული ტერიტორიების რუკით

არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება ზღუდავს ყველაწიარ სამშენებლო გამოყენების სახეობას იზღუდება მესაკუთრის კანონიერი უფლებები მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საპროექტო ტერიტორიის საერთო ქალაქგეგმარებითი მახასიათებლების გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება განიხილოს არეალზე, მომიჯნავე ტერიტორიასთან ერთად (საკადასტრო კოდი: 01.72.13.569.012; 72.13.09.539 და მიმდებარედ დაურეგისტრირებელი ტერიტორიის მცირე ნაწილი). 2025 წლის 27 ოქტომბრის N18-01253002934 წერილის შესაბამისად, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, ზემოაღნიშნულ არეალზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მუხიანი-2 ის დასახლება, იასამნის ქუჩა N12-ში; ქალაქ თბილისში, გლდანი, I მასივის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: 01.72.13.569.012; 72.13.09.539) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია;

ვ) ქალაქ თბილისში, ფარსმან II ქუელის ქუჩა, N 18-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.11.09.001.198) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) მოხსნა. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა და ინდივიდუალური ერთბიანიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საკადასტრო კოდით 01.11.09.001.198 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება, რაც ზღუდავს მესაკუთრის კანონიერ უფლებებს მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება განიხილოს არეალზე - მომიჯნავე ტერიტორიასთან ერთად, ვინაიდან საკადასტრო კოდით 01.11.09.001.197 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი და მიმდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორია იმყოფება საპროექტო მიწის ნაკვეთის თანაბარ პირობებში, საერთო მახასიათებლების მქონე გარემო-განაშენიანებაში. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის მიღმა, მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 29 ოქტომბრის N 18-01253022878 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით

გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ფარსმან II ქუელის ქუჩა, N 18-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.11.09.001.198) ასევე, საკადასტრო კოდით 01.11.09.001.197 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია.

ზ) ქალაქ თბილისში, სოფელი ბეთანიაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.81.28.072.015) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის მოხსნა. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს 2014-2018 წლის გენ-გეგმის ზონირების დაბრუნება სამშენებლოდ განვითარების მიზნით. 01.81.28.072.015 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობს სამშენებლოდ განვითარება, შეთანხმებულია საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები, საპროექტო, მომიჯნავე და მიმდებარე მიწის ნაკვეთები უზრუნველყოფილია მისასვლელი გზით და ჩამოყალიბებულია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რაც მნიშვნელოვანია სრულყოფილი საცხოვრებელი გარემოსთვის. „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 დადგენილების მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და საყეო ზონა. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება სატყეო ზონა, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და მცირე ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 1(სზ-1), ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკის მიხედვით შემოთავაზებული სატყეო ზონა, ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია ნაწილობრივ, კერძოდ, 2014-2018 წლის გენგეგმის კონტურის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე გავრცელდეს საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) კონტურზე შენარჩუნდეს სატყეო ზონა, ხოლო მოქმედი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) დარჩეს უცვლელად; 2025 წლის 31 ოქტომბრის N01253042836 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელი ბეთანიაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.81.28.072.015) ფუნქციური ზონის ცვლილება მისაღებია ნაწილობრივ, კერძოდ, 2014-2018 წლის გენგეგმის კონტურის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე გავრცელდეს საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), ხოლო, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ)

კონტურზე შენარჩუნდეს სატყეო ზონა. ამასთან, მოქმედი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) დარჩეს უცვლელად. წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნითა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელი ბეთანიაში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.81.28.072.015) ნაწილზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია;

თ) ქალაქ თბილისში, წყნეთი, აღმაშენებლის ქუჩა, (ნაკვ. 88/062); ქალაქ თბილისში, წყნეთი, აღმაშენებლის ქუჩა, ნაკვ.88/067-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.20.01.088.143), მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება. კანონიერ ძალაში შესული საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2025 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებით (საქმე ზს-1309(2კ-23)) უცვლელი დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე N38/595-23) და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე N3/4697-21), რომლითაც მარინე ზოფერიას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 08.07.2021წ. N21.959.1077 განკარგულების სარეზოლუციო ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი („დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონებაზე უარის შესახებ- ქალაქ თბილისში, წყნეთში, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.088.062; N01.20.01.088.067(გაერთიანებამდე არსებული კოდები)) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილების საკითხი.) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას დაევალა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელის მიერ წარდგენილ N01211674227-67 განცხადებასთან დაკავშირებით; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2025 წლის 23 აპრილის N18-01251132903 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე, განხორციელდეს სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1). მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, საპროექტო ტერიტორიის მიღმა, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ოქტომბრის ქუჩა, N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.20.01.088.037) ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით

არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნებიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, წყნეთი, აღმაშენებლის ქუჩა, (ნაკვ. 88/062); ქალაქ თბილისში, წყნეთი, აღმაშენებლის ქუჩა, ნაკვ.88/067-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.20.01.088.143), სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა, ასევე, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ოქტომბრის ქუჩა, N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.20.01.088.037) ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა მისაღებია.

№12-032531132-03-07.11.2025;

ა) ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისში; ქალაქ თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 72.16.20.135; 01.72.16.104.084; 01.72.16.104.083-ის ნაწილი) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისში; ქალაქ თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 72.16.20.135; 01.72.16.104.084; 01.72.16.104.083-ის ნაწილი) სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 ოქტომბრის N473 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შედეგად, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში საპროექტო არეალს მიღმა, 72.16.20.135 საკადასტრო ერთეულის ჩრდილო-დასავლეთით არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა (რზ). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ხორციელდება სარეკრეაციო ზონის (რზ) სატყეო ზონით ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისში; ქალაქ თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 72.16.20.135; 01.72.16.104.084; 01.72.16.104.083-ის ნაწილი) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ასევე, 72.16.20.135 საკადასტრო ერთეულის ჩრდილო-დასავლეთით არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონის (რზ) სატყეო ზონით ცვლილება მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა №5, №3; ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა, სმენადაქვეითებულთა სკოლა-ინტერნატის გვერდით (ნაკვეთი 25/020); ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქ. №5. სმენა დაქვეითებულთა სკოლა-ინტერნატის წინ; ქალაქ თბილისში, ბუდაპეშტის ქუჩა №28-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.14.15.025.020, 01.14.15.025.021, 01.14.15.025.033, 01.14.15.025.027; 01.14.15.025.032) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა №5, №3; ქალაქ თბილისში,

ნუცუბიძის ქუჩა, სმენადაქვეითებულთა სკოლა-ინტერნატის გვერდით (ნაკვეთი 25/020); ქალაქო თბილისი, ნუცუბიძის ქ. №5. სმენა დაქვეითებულთა სკოლა-ინტერნატის წინ; ქალაქ თბილისში, ბუდაპეშტის ქუჩა №28-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.14.15.025.020, 01.14.15.025.021, 01.14.15.025.033, 01.14.15.025.027; 01.14.15.025.032) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 ოქტომბრის N477 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა №5, №3; ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა, სმენადაქვეითებულთა სკოლა-ინტერნატის გვერდით (ნაკვეთი 25/020); ქალაქო თბილისი, ნუცუბიძის ქ. №5. სმენა დაქვეითებულთა სკოლა-ინტერნატის წინ; ქალაქ თბილისში, ბუდაპეშტის ქუჩა №28-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.14.15.025.020, 01.14.15.025.021, 01.14.15.025.033, 01.14.15.025.027; 01.14.15.025.032) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებად;

გ) ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, თბილისი-კოჯორის გზატკეცილი №160; ქალაქ თბილისში, სოფელი ტაბახმელაში, ტაბახმელას ველის ქუჩა №2; ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: 81.02.28.087; 81.02.28.089; 81.02.28.090; 81.02.28.088; 81.02.28.153; 81.02.28.071; 81.02.28.070; 81.02.28.024; 81.02.03.628; 81.02.03.629; 81.02.28.025) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. საპროექტო ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, თბილისი-კოჯორის გზატკეცილი №160; ქალაქ თბილისში, სოფელი ტაბახმელაში, ტაბახმელას ველის ქუჩა №2; ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: 81.02.28.087; 81.02.28.089; 81.02.28.090; 81.02.28.088; 81.02.28.153; 81.02.28.071; 81.02.28.070; 81.02.28.024; 81.02.03.628; 81.02.03.629; 81.02.28.025) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 ოქტომბრის N474 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შედეგად, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში საპროექტო არეალს მიღმა, 81.02.28.090; 81.02.28.087; 81.02.28.153 და 81.02.28.150 საკადასტრო ერთეულების ჩრდილოეთით არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ხორციელდება საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, თბილისი-კოჯორის გზატკეცილი №160; ქალაქ თბილისში, სოფელი ტაბახმელაში, ტაბახმელას ველის ქუჩა №2; ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: 81.02.28.087; 81.02.28.089; 81.02.28.090; 81.02.28.088; 81.02.28.153; 81.02.28.071; 81.02.28.070; 81.02.28.024; 81.02.03.628; 81.02.03.629; 81.02.28.025) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ასევე,

81.02.28.090; 81.02.28.087; 81.02.28.153 და 81.02.28.150 საკადასტრო ერთეულების ჩრდილოეთით არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღება;

